

ივ . ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის
საბჭოს სხდომის

ოქმი N 2
3. 02. 2015

საბჭოს სხდომის დღის წესრიგი:

1. მაგისტრატურაში მისაღები კონტინგენტის კვოტების განაწილება.
2. ცვლილებები აკადემიურ პროგრამებსა და სილაბუსებში.
3. სხვა

სხდომას ესწრებოდნენ:

სხდომის თავმჯდომარე: დეკანის მოადგილის მ/შ, ასოც./პროფ. შ. აბზიანიძე.

სხდომის მდივანი: დეკანის მოადგილის მ/შ, ასოც./პროფ. ლ. სურმანიძე.

ფაკულტეტის საბჭოს წევრები:

ფსიქოლოგიის დეპარტამენტიდან: პროფ.-ები: ნ. სუმბაძე, მ. წერეთელი, ასოც./პროფ.-
ები: გ. გოროშიძე, ი. კუტალაძე, მ. მელიქიშვილი, თ. აბაშიძე, ბ. არუთინოვა, მ.
მესტერიშვილი, ასისტ./პროფ.-ები: ი. გედევანიშვილი, ი. ჟვანია.

განათლების დეპარტამენტიდან: პროფ. ქ. ჭკუასელი, ასოც./პროფ. ი. პეტრიაშვილი,
ასისტ./ პროფ. ზ. ქიტიაშვილი.

სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები: ბ. დადემქელიანი, ნ.
ალიბეგაშვილი, თ. კანდელაკი, გ. სალია, თ. ქააძე, ე. ქურციკიძე, ა. კობაიძე.

სხდომაში მონაწილეობდა ფაკულტეტის საბჭოს 22 წევრი.

განიხილეს საკითხები:

1. მაგისტრატურაში მისაღები კონტინგენტის კვოტების განაწილება.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოც/პროფ.-მა მ.მელიქიშვილმა ისაუბრა მაგისტრატურაში მისაღები კონტინგენტის კვოტების განაწილების საკითხზე. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს მისაღები კონტინგენტის კვოტები განისაზღვრა წინა წელს ათვისებული ადგილებიდან გამომდინარე. შესაბამისად, მიმდინარე წელს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტზე მაგისტრატურისთვის განსაზღვრულია 90 ადგილი, საიდანაც 70 ადგილი ფსიქოლოგიას ეთმობა, ხოლო 20 ადგილი - განათლების მეცნიერებებს. მან აღნიშნა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებში კვოტების განაწილების საჭიროებაზე და მოუწოდა საბჭოს ამ თემაზე დისკუსიის გამართვისკენ.

აზრი გამოთქვას: პროფ. ქ. ჭკუასელმა და ასისტ./ პროფ. ზ. ქიტიაშვილმა გამოთქვეს უკმაყოფილება ფაკულტეტზე დეპარტამენტებს შორის კვოტების არათანაბარი განაწილების გამო და აღნიშნეს, რომ განათლების მეცნიერებებს უნდა მიეცეს მეტი კონტინგენტის მიღების შესაძლებლობა. ასოც./პროფ. ი. კუტალაძემ საპასუხოდ აღნიშნა, რომ ეს არის მიმდინარე წლის სპეციალური სიტუაცია. როგორც წესი, მაგისტრატურას ადგილები ყოველწლიურად ემატებოდა, ამჟამინდელი ვითარება გამოწვეულია ავტორიზაციის პროცესის ინტერესებით. მისი აღნიშვნით, დღეს არსებული რაოდენობა უცვლელი არ არის, მომავალი წლისთვის ზემოხსენებული გარემოება შეიცვლება და კვოტების განაწილება ახალი რეალობის შესაბამისად მოხდება. ასოც./პროფ. ლ. არუთინოვამ ხაზი გაუსვა, რომ იმ პროგრამათა არსებობაც, რომლებიც ყოველწლიურად არ აცხადებენ მიღებას (ასეთია 3) და რომლებსაც, მაგალითად, გასულ წელს მაგისტრანტები არ მიუღია, რეალურად ამცირებს ადგილების რაოდენობას. მან, ასევე, დასვა პროგრამებში ყოველწლიურად მაგისტრანტთა მიღების რაციონალურობის საკითხი.

ასოც./პროფ. შ. აბზიანიძემ აღნიშნა, რომ ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ფარგლებში ფუნქციონირებს 11 სამაგისტრო პროგრამა, რომელთაგან მიღებას მიმდინარე წელს აცხადებს 8. შესაბამისად, ფსიქოლოგიისთვის განკუთვნილი 70 ადგილი უნდა გადანაწილდეს ამ 8 პროგრამისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ სამაგისტრო პროგრამა „ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია (ინტერდისციპლინური)“ ითხოვს მხოლოდ 5 ადგილს, დანარჩენ პროგრამებს რჩება 9 ადგილი. მან საბჭოს შესთავაზა დარჩენილი 2 ადგილის გასანაწილებლად რაიმე პრინციპზე შეთანხმება. მისი აზრით, შესაძლებელია დარჩენილი 2 ადგილი განაწილდეს იმ პროგრამებზე, რომლებსაც ყველაზე მეტი სტუდენტი ჰყავდა; სხვა მოსაზრებით, განაწილდეს იმ პროგრამებზე, სადაც ყველაზე დიდი კონკურსი იყო (მ.წერეთელი).

კენჭი უყარეს კვოტების შემდეგ განაწილებას:

ფსიქოლოგია:

სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია - 9

გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია - 9

ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია (ინტერდისციპლინური) - 5

შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია - 11

განათლების ფსიქოლოგია და კვლევა - 9

ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება - 9

კონფლიქტების ანალიზი და მართვა - 9

ორგანიზაციული განვითარება და კონსულტირება - 9

განათლების მეცნიერებები:

მასწავლებელთა განათლება - 10

განათლების მეცნიერებები - 10

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 19

წინააღმდეგი - 2

თავი შეიკავა -1

დაადგინეს: დარჩენილი 2 ადგილი განაწილდეს გასული წლის მონაცემებით ყველაზე დიდი კონკურსის მქონე პროგრამებს შორის.

2. ცვლილებები აკადემიურ პროგრამებსა და სილაბუსებში.

განიხილეს ცვლილებების საკითხი:

- სამაგისტრო პროგრამაში "განათლების ფსიქოლოგია და კვლევა".
- სამაგისტრო პროგრამაში "შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია".
- სილაბუსებში „ანთროპოლოგია“ (საბაკალავრო), „თვისებრივი მეთოდები. ექსპერიმენტული ფსიქოსემანტიკა“ (სამაგისტრო).

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოც/პროფ.-მა მ.მელიქიშვილმა საბჭოს წარუდგინა სამაგისტრო პროგრამებსა და სილაბუსებში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებული წინადადებები. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ:

ა) სამაგისტრო პროგრამაში "განათლების ფსიქოლოგია და კვლევა" არჩევითის სტატუსით შედის 2 ახალი კურსი:

- ✓ „ფსიქოლინგვისტიკური მეთოდები ბავშვებსა და მოზარდებში“- 5 კრედიტი
- ✓ პრაქტიკა -10 კრედიტი

ბ) სამაგისტრო პროგრამაში "შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია" არჩევითის სტატუსით შედის კურსი „ახალი სამუშაო ძალა - ტენდენციები და გამოწვევები“, რომელსაც წაიკითხავს დოქტორანტი ანა ტიკარაძე. 2

გ) სილაბუსების - „ანთროპოლოგია“ (საბაკალავრო), „თვისებრივი მეთოდები. ექსპერიმენტული ფსიქოსემანტიკა“ (სამაგისტრო) - ავტორი ლ. სურმანიძე აღნიშნულ სილაბუსებში მიზანშეწონილად მიიჩნევს შეფასების კრიტერიუმებისა და შესაბამისი ქულობრივი გადანაწილების შეცვლას.

აზრი გამოთქვას: საბჭოს წევრები დაინტერესდნენ დოქტორანტ ა. ტიკარაძის კომპეტენციით. პროგრამის - "შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია"- ხელმძღვანელმა ი. კუტალაძემ აღნიშნა, რომ დოქტორანტ ა. ტიკარაძეს აქვს კარგი პრაქტიკული გამოცდილება როგორც ეიჩარის სფეროში, ისე თავად აღნიშნული კურსის წაკითხვის თვალსაზრისითაც. წარმოდგენილი სილაბუსი **King's College London**-ის ანალოგიური კურსის საფუძველზეა შემუშავებული. რამდენიმე წლის განმავლობაში ა. ტიკარაძეს ეს კურსი მიყავდა ილიას უნივერსიტეტში. გარდა ამისა, ა.ტიკარაძე არის საკონსულტაციო კომპანია 'ადელანტე'-ს დამფუძნებელი და დირექტორი, ამ კომპანიის მიზანია დაეხმაროს ორგანიზაციებს საუკეთესო შედეგების მიღწევაში ადამიანური რესურსების ეფექტური მართვის საშუალებით. ანა ტიკარაძე 2011-2012 წლებში იყო დიდ ბრიტანეთში ლაიფბუქის (www.lifebookuk.com) ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი, 2007-2010 წ.წ. - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე ბანკში „რესპუბლიკა“ (ჯგუფი სოსიეტე ქენერალი(www.br.ge)). 2011 წელს მას მიღებული აქვს **King's College London**-ის (www.kcl.ac.uk), მაგისტრის ხარისხი (წარჩინებით) ადამიანური რესურსების მართვასა და ორგანიზაციულ ანალიზში (სადისერტაციო ნაშრომი: ორგანიზაციული იდენტობა)

